თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 7 თებერვალი
მორიგი სხდომის
ოქმი № 3

ქ. თერჯოლა 7 თებერვალი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. კობა კაცაძე, 7. ნინო მახათაძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალი ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. გრიგოლ გიორგაძე, 14. გოჩა ვერულაშვილი, 15. დავით გოგბერაშვილი, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. კახა ბუცხრიკიძე, 18. რამინი რობაქიძე, 19. თამარ ახვლედიანი, 20. ფრიდონ გვენეტაძე, 21. დავით ცხადაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. ტარიელ ფანჩულიძე, 24. რუსუდან კოვზირიძე, 25. როლანდი მესხი, 26. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. შალკვა ჭანკვეტაძე, 3. კობა კირკიტაძე, 4. მერაბი ბასილაძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 26 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ²⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთში მეწყერის ჩამოწოლის შედეგად დაღუპულების ოჯახებსა და ახლობლებს სამძიმარი გამოუცხადა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282403632, 05.02.2024 წ.).

მომხს.: თ ქოჩიაშვილი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს (ს/კ 412670097) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-28240361 05.02.2024 წ.).

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა -144,4 ათასი ლარით და შეადგენს 30067.4 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 102,3 ათასი ლარით (გრანტი).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 246,7 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 103,3 ათასი ლარით. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 103,3 ათასი ლარით (ტრანსპორტის ხარჯი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 247,7 ათასი ლარით. მ/შორის:

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა - 207.7 ათასი ლარით (ნაგავმზიდი მანქანის შეძენა).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება გაიზარდა 10,0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა გაიზარდა 30.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -22 , წინააღმდეგი - 4

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 13 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 4, 07.02.2024 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს (ს/კ 412670097) განკარგულების პროექტი - შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას"-ს (ს/კ 412670097) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქირავნობის ფორმით 6(ექვსი) თვის ვადით გადაცემული ქონდა ქ. თერჯოლაში , რუსთაველის ქუჩა № 117-ში მდებარე (ს/კ 33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2024 წლის 26 იანვარს. 2024 წლის 8 იანვრის №278/38/04 წერილით კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი კომპანიას გადაეცეს 1 (ერთი) წლის ვადით და ქირავნობის საფასური განისაზღვროს 2010 (ორი ათას ათი) ლარის (167.50 ლარი) ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -26 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩა №117-ში მდებარე (ს/კ N33.09.45.985) შენობის პირველ სართულზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 67.00 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"-ს (ს/კ 412670097) განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2924038001, 07.02.2024წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 7 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი